# უხილავი თამაში

მარი ბექაური

სულაკაურის
გამომცემლობა

**მარი ბექაური**
**უხილავი თამაში**
**რომანი**

რედაქტორი **ანა ჭაბაშვილი**
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**
ყდის დიზაინერი **ზურა მჭედლიშვილი**

ტექსტი © მარი ბექაური, 2022
გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2022

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-930-4

**Mari Bekauri**
**INVISIBLE GAME**
Novel

Text © Mari Bekauri
All rights reserved.
Published by Sulakauri Publishing, 2022

**www.sulakauri.ge**

*გაწეული კონსულტაციისთვის მადლობას ვუხდი*
*ჩემს მეგობარს, მამუკა გურულს.*

*მადლობა ი.დ.-ს დიდი ქარიშხლისთვის.*

*ერთხელ შენს ცხოვრებაში დადგება მომენტი, როცა გამოიღვიძებ და აღმოაჩენ, რომ ყველაფერი, რაც მანამდე სინამდვილე გეგონა, ილუზია ყოფილა.*

*თავიდან მოგეჩვენება, რომ გაგიჟდი და შეგეშინდება.*

*მერე მიხვდები, რომ კრიზისი დადგა.*

*ბოლოს კი სინამდვილეს თვალს გაუსწორებ.*

*თუმცა ეს ხაფანგია.*

*ხაფანგის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გავა დრო და მიხვდები, რომ ის სინამდვილეც, რომელსაც თვალი გაუსწორე, ილუზია ყოფილა.*

*მერე კიდევ გავა დრო და როცა უკვე ბევრჯერ გამოიღვიძებ, ბევრჯერ დაინახავ სინამდვილის ილუზორულობას, ილუზიების წრესაც გააცნობიერებ.*

*ამის შემდეგ ცხოვრება სხვანაირი ხდება. შენ უკვე იცი, რომ ყველაფერი რეალურია და არაფერია რეალური. რომ სამყაროს მართავს სისტემები – ათობით, ასობით, ათასობით სისტემა, სადაც ადამიანები თავიანთ როლებს თამაშობენ, ან ხანდახან როლებიდან გამოდიან და როლებიდან გამოსულებს თამაშობენ. მოკლედ, თამაშობენ, და თამაშშიც არის სხვაობა.*

*ის, ვინც თამაშს აცნობიერებს, ნებისმიერ შემთხვევაში, უკეთესი მოთამაშე ხდება, ვიდრე ის, ვინც თამაშის შესახებ არ იცის.*

*ის, ვინც თამაშის შესახებ არ იცის, უაზრობით იტანჯება.*

ყველაფერი ციკლურია. ნებისმიერი რამ, რაც
ხდება, უკვე მოხდა და ისევ მოხდება.

# 1

ეს უცნაური ამბავი დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ დაიწყო.

გამომცემლობაში ორივე სამი დღის შუალედით მოვიდა და თავიანთ წიგნებზე ილაპარაკა. სამუშაო პერიოდი განვსაზღვრეთ, დეტალები შევათანხმეთ და სამომავლო გეგმები დავსახეთ. მერე კი მოულოდნელად ორივე გაქრა.

იმ პერიოდში სამყარო ახალმა ვირუსმა მოიცვა და ამ ამბისთვის ყურადღება აღარ მიმიქცევია. მომხდარის უჩვეულობა მხოლოდ მოგვიანებით აღვიქვი, როცა პირბადიანი სახეები, კარანტინები და კომენდანტის საათები ჩვეულ მოვლენად იქცა.

და მაინც, იმას, რაც მომავალში მელოდა, ვერაფრით წარმოვიდგენდი...

ვირუსის გავრცელებიდან მალევე დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავედით. როცა ლეპტოპის და დასარედაქტირებელი წიგნების წამოსაღებად გამომცემლობაში მივედი, დაცარიელებულმა შენობამ რეალობა კიდევ უფრო ცხადად და მტკივნეულად აღმაქმევინა.

უცნობი ვირუსი, რომელიც მსოფლიოში ჩინეთიდან გავრცელდა, ყოველდღიურად ათასობით ადამიანს კლავდა. ხალხი ოჯახის წევრებს ვერ მარხავდა. საავადმყოფოებს დაავადებულთა მისაღებად რესურსი აღარ გააჩნდათ. დაწესდა კარანტინები, კომენდანტის საათები,

ასობით შეზღუდვა. მომავალი კი სრულიად ბუნდოვან და გაურკვეველ ცნებად იქცა.

სამყაროში არცერთ ადამიანს არ შეეძლო, ეთქვა, რა იქნებოდა – მერე.

მომენტალურად შეიქმნა შეთქმულების თეორიები. ინტერნეტსივრცე ათასობით ვარაუდით, მტკიცებით, მოსაზრებით გადაიჭედა. თუმცა, ერთადერთი, რის პროგნოზირებაც უტყუარი გახლდათ – ეკონომიკური კრიზისი იყო.

სანამ დისტანციურ რეჟიმზე გადავიდოდით, გამომცემლობის დირექტორმა შეგვკრიბა და აღელვებული გველაპარაკა სირთულეებზე, რომელთა გადალახვაც მოგვიწევდა. არც შესაძლო შემცირებები დაუმალავს. თუ გადარჩენა გვინდოდა, მეტი შრომა და მოთმინება გვმართებდა.

– იმედია, თქვენც ხვდებით, – თქვა ბოლოს, – შეიძლება ძალიან მალე პური გახდეს სანატრელი და ასეთ სიტუაციაში წიგნები არავის დასჭირდება. ასე რომ... ჰაერში ვართ გამოკიდებული.

რა თქმა უნდა, მშვენივრად ვხვდებოდით. სანამ ახალი ამბები მილიონობით სიკვდილს და დაავადების გავრცელების კატასტროფულ მაჩვენებელს იუწყებოდა, ვერავის ექნებოდა ძველებურად ყოფნის ილუზია...

მომდევნო სამ თვეს კარანტინში ყოფნა მოგვიწია და მთელი ეს დრო ძირითადად სახლში გამოკეტილმა გავატარე. მარტო მაღაზიაში თუ გავიდოდი პროდუქტების საყიდლად. მაშინ ჟოზე ლუიშ პეიშოტუს წიგნს ვარედაქტირებდი და იმ ორი მწერლის ამბავი აღარც გამხსენებია.

როცა კარანტინი დასრულდა და დისტანციურიდან კვლავ ჩვეულ სამუშაო რეჟიმს დავუბრუნდით, მალევე მივხვდი, რომ ადამიანებში ძირეულად შეცვლილიყო რაღაც.

ვირუსით გამოწვეული პირველი ელდა უფრო მშვიდ და დეპრესიულ ფაზას ჩაენაცვლებინა. სადაც არ უნდა მისულიყავი, ყველგან ჩუმი სასოწარკვეთა იგრძნობოდა. თითქოს ვირუსის კრიზისი მასობრივ ეგზისტენციალურ კრიზისად ქცეულიყო.

გამომცემლობა ჯერჯერობით ფეხზე იდგა. ცხადია, წიგნების გაყიდვამ იკლო, თუმცა მაღაზიების დაკეტვიდან მალევე ონლაინ გაყიდვის რეჟიმზე გადავედით, რამაც გარკვეული შეღავათი მოგვცა და ძლიერი დარტყმა აგვაცილა.

სამთვიანი კარანტინის უხილავი შედეგები გამომცემლობაშიც იგრძნობოდა. უფრო ნაკლებს ვლაპარაკობდით და ხანდახან პირბადიან სახეებზე შიშიც კრთებოდა. ყველამ ვიცოდით, რომ ნებისმიერი ჩვენგანი პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა. სოციალურ დისტანციას გარკვეული შინაგანი დისტანციაც გაეჩინა.

დაახლოებით ორი თვის შემდეგ, სწორედ პეიშოტუს წიგნის დისტანციურ პრეზენტაციაზე შევამჩნიე ის პირველი უჩვეულობა, რაც მოგვიანებით სრულ სიგიჟედ იქცა და რამაც დეტექტიური რომანის გმირივით ჩამითრია.

პრეზენტაცია შვიდ საათზე იყო დანიშნული, მაგრამ გამომცემლობის დირექტორი მთელი დღით გაუჩინარდა და რადგან ვერც ტელეფონით დავუკავშირდით, ცოტა არ იყოს დაბნეულები შევუდექით წიგნის წარდგენას.

ხალხი უფრო ცოტა მოვიდა, ვიდრე სხვა დროს. დირექტორი კი არც მომდევნო დღეს გამოჩენილა. მხოლოდ მესამე დღეს, როცა უკვე იმაზე ვმსჯელობდით, პოლი-

ციისთვის ხომ არ შეგვეტყობინებინა, დირექტორი ორი საათის დაგვიანებით გამომცემლობაში მოვიდა, გაქრობისთვის გაკრული ბოდიში მოიხადა და თავის კაბინეტში შეიკეტა.

მიუხედავად იმისა, რომ პირბადე ეკეთა, დაღლილობა და ნერვიულობა ეტყობოდა და ვივარაუდე, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მომხდარიყო. მითუმეტეს, რომ ასეთი რამეები არ სჩვეოდა.

ბუნებრივია, პირველი ეჭვი ვირუსს დაუკავშირდა.

„ნეტა, მის ახლობელს ხომ არ დაემართა?“ „ან თვითონ ხომ არ იგრძნო თავი სუსტად და ტესტი გაიკეთა?“

ეს ეჭვი სხვების თვალებშიც შევნიშნე და რადგან მასთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა, გადავწყვიტე, მეკითხა.

დღის ბოლოს, როცა ყველა წავიდა, მეორე სართულს მივაშურე და კაბინეტის კარზე დავაკაკუნე.

– შემოდით! – გაისმა შიგნიდან და როცა მე დამინახა, თითქოს რაღაცნაირად მოეშვა. – შენ ხარ?

მისი მაგიდის წინ, სავარძელზე ჩამოვჯექი და სანამ ხმას ამოვიღებდი, თვითონ მკითხა:

– როგორ ჩაიარა?

– რამ? – რადგან სხვა რამეზე ვფიქრობდი, უცებ აღარც გამხსენებია.

– პრეზენტაციამ.

– აა, კარგად, მშვენივრად.

– ხალხი?

– ცოტა იყო...

– ჰო, – თქვა რაღაცნაირად დაღლილმა და გაჩუმდა.

– ამათ რაო? – მკითხა მერე და შემომხედა.

– არაფერი, ისედაც ეგრე ვვარაუდობდით.

– არა, სხვა რამეზე გეკითხები. ჩემზე.

– აა, – მხრები ავიჩეჩე, – ვერ მივხვდით, დავიბენით. ხომ იცი...

– მოიცა, ალექს, – გამაწყვეტინა უცებ, – ვირუსი ხომ არ ჰგონიათ?

– არ ვიცი, არ გვილაპარაკია, თუმცა, სიმართლე გითხრა, პირველი მეც ეგ ვიფიქრე.

– რა სისულელეა. რო რამე, გაგაფრთხილებდით. მაგას ხომ არ დავმალავდი...

თავი დავუქნიე და არაფერი მიპასუხია. თვითონ გვერდზე გაიხედა და ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჯდა. დაძაბულობა ვიგრძენი. ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს რაღაც აწუხებდა და თქმა უჭირდა.

– იცი, რაღაც მოხდა, – მაინც თქვა.

– რა?

– რაღაც... უცნაური... არ ვიცი.

შემომხედა და თვალი სწრაფადვე ამარიდა.

– ნანა...

დავიწყე და მეც გავჩუმდი.

– კაი, არ გვინდა დღეს, – თქვა მერე, ისე, რომ არ შემოუხედავს და მეც აღარ ჩავძიებივარ. ვიგრძენი, რომ ასე ჯობდა.

– წავალ, ხო? – შევხედე და წამოვდექი.

– ჰო, მიდი, მიდი, – ბოლოს და ბოლოს, თვითონაც შემომხედა.

დავემშვიდობე და წამოვედი.

ამ საუბრიდან ხუთი დღის შემდეგ კი ტელევიზორში ის გიჟური გადაცემაც გავიდა.